ია ია.

Nr.2

ფასი: 50 თეთრი

www.ai-ia.info

2011 წლის 26 აპრილი-9 მაისი

ქრისტე ადლდგა!

დავით ვაჩნაძე

კავკასიის პრობლემა

გვერდები 2-4

პატიმატ ტახნაევა

დათუნას ეკლესიის საკვირველი ბედი

გვერდი 4

როჟე-პოლ დრუა

ყველასათვის ახსნილი დასავლეთი

გვერდები 6-7

ფოტოზე: დავით ვაჩნაძე

1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოდან გაძევებული ქართველი მამულიშვილები ევროპაშიც განაგრძობდნენ მოღვაწეობას. აარსებენ ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი ხალხების მოღვაწეთა ერთიან მოძრაობას - „პრომეთე“, რომლის მიზანი ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ბოლშევიკების მიერ დათრგუნული ეროვნული ცხოვრების აღდგენა გახლდათ. სხვებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ ქართველებიც, მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად. ევროპაში ქართული ჟურნალ-გაზეთებიც გამოდიოდა. ქართველები ემიგრაციაშიც ცდილობდნენ ქართული ეროვნული მეობის შენარჩუნებას. ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო დავით ვაჩნაძეც. პარიზში «კავკასიურ კვლევათა წრე» (Cercle des Etudes Caucasiennes) არსებობდა, რომლის ერთ-ერთ სხდომაზე, 1933 წლის 17 იანვარს, ამ წრის გამგეობის თხოვნით დავით ვაჩნაძემ მოხსენება - «ერთაშორისი ერთიანობის ტრადიცია კავკასიის ისტორიაში» (რუსულ ენაზე) წაიკითხა. ეს მოხსენება იმავე წელს, პარიზში, ბროშურის სახით სახელწოდებით «კავკასიის პრობლემა» რუსულად გამოსცა დიმიტრი ხელაძემ. ნაშრომი წარმოადგენს ქართული ისტორიულ-პოლიტიკური აზრის ძვირფას ძეგლს და ქართველ მოღვაწეთა საქმიანობის მნიშვნელოვან საბუთს. საქართველოში მისი კითხვა აკრძალული იყო.

კავკასიის პრობლემა

ᲑᲐᲑᲘᲫᲔᲚᲔᲑᲐ, ᲰᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ: “ᲐᲘ ᲘᲐ.„ , Nr.1

თარგმანი გიორგი მარჯანიშვილისა

კავკასიის პრობლემა – 3

ახალმა ეპოქამ, რომელმაც კავკასიაში იმპერიული რუსეთის ბატონობა მოიტანა, ბევრი მასალა მოგვცა ჩვენი ძირითადი დებულების დასადასტურებლად. კავკასიური მასების ერთაშორისი დაახლოებისა და გაერთიანების სურვილი არც ახალ პირობებში გამქარალა. რუსეთის ისტორიაში, ამ ორი ქვეყნის შეერთებად წოდებულ მოვლენას, ისტორიული მონაცემების თანახმად, სულაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ. “მე ვერ ვუბედავ თქვენს იმპერატორულ უდიდესებულებას ვუმტკიცო ის, რომ დღევანდელი წოდების ყველა ადამიანი გულგრილად უყურებდა და უყურებს საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ქართული თავადაზნაურობის ნახევარი, მეფის ყოლას და მმართველობის უწინდელი ფორმის შენარჩუნებას მაინც ისურვებდა”, ატყობინებდა იმპერატორ ალექსანდრე I-ს 1801 წელს რუსეთის რწმუნებული საქართველოში, გენერალი კნორინგი. ეს იყო პასუხი იმპერატორის მიერ დასმულ კითხვაზე – ერთსულოვნად აღიარეს თუ არა საქართველოს უმაღლესმა წოდებებმა და ხალხმა ქართული სამეფოს ქედის მოხრა რუსული დერჟავის წინაშე. 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის დარღვევით, საქართველოს რუსეთთან შეერთებისადმი თვითონ რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე პირველის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად იმისა, რომ ამას ქართველი ხალხის “დაახლოვებით ნახევარი” უწევდა წინააღმდეგობას, რუსეთის იმპერიის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველო მაინც იქნა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩართული. (საქართველოს რუსეთთან შეერთება ნაწილ-ნაწილ მოხდა: 1801 წლის 18 იანვარს რუსეთს ქართლი და კახეთი შეუერთეს, 1803 წლის 3 ნოემბერს – სამეგრელო, 1804 წლის 4 ივლისს – იმერეთი და გურია, 1810 წლის 11 ივნისს – აფხაზეთი, 1866 წელს – სვანეთი. საქართველომ ძალადობის ამ აქტებს შემდეგი აჯანყებით უპასუხა: 1802-1804 წლებში – ქართლში და მთიანეთში, 1812 წელს – კახეთში, 1819-1820 წლებში – იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. 1823 წელს ტფილისში ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულება მოეწყო, 1866 წელს აჯანყდა აფხაზეთი (ბერჟე, კავკასიის არქეოგრაფიული აქტები, პროფ. პ. ი. კოვალევსკი: “კავკასიის დაპყრობათა ისტორია” ტ. II, 1915 წ. ორივე რუსულად.) ანექსიის აქტის გამოქვეყნების (1801 წლის მანიფესტი) შემდეგ, საქართველოს მეფე ერეკლე II-ის შვილმა, ალექსანდრემ, უკმაყოფილოებთან ერთად, ქართველი ხალხის შელახული უფლებების აღდგენისათვის ბრძოლის დროშა აღმართა. ამ დაუღალავმა პატრიოტმა, საუკუნის მეოთხედის მანძილზე მთელ კავკასიაში დაუმორჩილებლობის ალამი გაშალა. იგი გაუგონარი ძალადობის წინააღმდეგ კავკასიელი ხალხების გაერთიანებას ცდილობდა. ის ხან დაღესტანში, ხან აზერბაიჯანის სახანოებში და ხანაც საქართველოში ჩნდებოდა, მას ყველგან ენთუზიაზმით ხვდებოდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი ზედიზედ აწყობდა აჯანყებებს. ის კავკასიაში პატრიოტულ რაზმებს აერთიანებდა და უცხო დამპყრობელ ძალას ფეხის მყარად მოკიდების საშუალებას არ ძლევდა. მთელი კავკასიის ფრონტზე, 25 წლის მანძილზე, თითქმის უწყვეტად მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა. სამი დღის განმავლობაში მდინარე იორთან რუსებს კახურ-ლეკურ-ნუხის გაერთიანებული ძალები მედგრად ებრძოდნენ. ხევსურები და ინგუშები ერთად მოქმედებდნენ მთისწინეთში – საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად. არაგვისა და ჯავას ხეობებში ერთად იბრძოდნენ ოსები და ქართველები. საქართველოში მიმალულ რუსულ ნაწილებს უხერგავდნენ გზას, სპობდნენ რუსთა ტრანსპორტს და ტყვედ აჰყავდათ ისინი. რუსული ჯარების მთავარსარდლებს თავისი ტყვეების გასათავისუფლებლად ოსეთში ძლიერი სამხედრო ექსპედიციების გაგზავნა ხშირად უწევდათ. ეს ხანა საგსეა ერთობლივი გმირული ბრძოლის ურიცხვი ეპიზოდებით. ჩრდილოეთის უზარმაზარმა ადამიანურმა რესურსებმა, ძლიერი იმპერიის ფინანსურმა და ტექნიკურმა შესაძლებლობებმა, მეფისწული – ალექსანდრეს წინააღმდეგობა საბოლოოდ გასტეხეს. ხევსურეთი სანახევროდ განადგურებული იყო. ოსეთი დაიწვა. მეზობელი აზერბაიჯანული სახანოები დაიპყრეს. აჯანყებისაგან გადაქანცული საქართველო გაჩუმდა. საქართველოს დაბლობებიდან ბრძოლამ მთებში გადაინაცვლა. მოხუცებული, უკანასკნელი ბატონიშვილის ხელიდან გავარდნილი დროშა, დაღესტანისა და ჩეჩნეთის იმამმა, შამილმა აიტაცა. ომი გრძელდებოდა 1864 წლამდე. მარტო დარჩენილ მთიელთა ბრძოლაც წარუმატებლად დასრულდა. ყველაფერი დაპყრობით დასრულდა.

ფოტოზე: იმამ შამილი

თავისუფალებისათვის მებრძოლი კავკასიის უკანასკნელი არიეგარდი, კეთილშობილი ჩერქეზი ხალხი ათასობით იხოცებოდა და არ ნებდებოდა. ისინი ჯერ კიდევ თავისუფალი ჩერქეზული მიწის ყოველ გოჯს, გმირულად იცავდნენ. ისინი შავ ზღვაში გადაყარეს. (ბერჟე, კავკასიის არქეოგრაფიული აქტები, პროტო – კავკასიური ომები /რუსულად/).

ბატონიშვილ ალექსანდრეს წარუმატებლობის მიზეზები უკვე ნახსენები თურქულ-სპარსული ახლომხედველური პოლიტიკის ჯერ კიდევ ცოცხალ შედეგებში იმალება. ამ პოლიტიკამ, ეს დაუძლურებული და დაქსაქსული კავკასია ჩრდილოეთიდან მოწოლილ ორგანიზებულ რუსულ სტიქიას ჩაუგდო ხელში. მართალია, დროთა მანძილზე ამ ქვეყნებმა მათ მიერ დაშვებული დიდი შეცდომა დაინახეს და მზად იყვნენ ალექსანდრესათვის და შამილისათვის რუსეთთან ბრძოლაში დახმარება გაეწიათ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ვითარება მკვეთრად შეიცვალა, მათ აღარც ძალები და აღარც სახსრები აღარ ჰქონდათ დამპყრობელ, ძლიერ იმპერიასთან საბრძოლველად. ისინიც მალე რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ მისწრაფებათა ობიექტად გადაიქცნენ.

იმ ხანის კავკასიელი ხალხების თავისუფლებისათვის ბრძოლა დამარცხდა. მაგრამ არათანაბარ ომში დამარცხებულ კავკასიელ ერებს იარაღი არ დაუყრიათ. მათ მხოლოდ დროებით ჩააგდეს ხმალი ქარქაშში და თავისი მთავარი ჭრილობის განკურნებაზე ზრუნვა დაიწყეს. ამ იარას ყველა კარგად ხედავდა: “გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ვიყავით და უნდა ვიყოთ მეზობლები. ვწიოთ ერთი ჭაპანი, შევასრულოთ ერთი და იგივე მოვალეობები, დროა გავიგოთ, რომ ამ მდგომარეობას ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გაექცევა, რჩება ერთადერთი გამოსავალი: უნდა შევუთანხმდეთ ერთმანეთს, თუ კი გვინდა, რომ ცხოვრება ცხოვრებას დაემსგავსოს. არც ერთი ჩვენგანი არაა იმდენად ძლიერი, რომ მთელ კავკასიას დაასვას თავისი ბატონობის ბეჭედი. ამიტომ, ერთმანეთის გადაყლაპვის შიში არ უნდა გვქონდეს. ყოველი ხალხი, სანამ მას შერჩენია ძალა, ვალდებულია იბრძოლოს თავისი მიწისთვის, სარწმუნოებისთვის, ენისთვის, წარმომავლობისა და თავისი ეროვნების გადარჩენისთვის. განა შვეიცარიაში ფრანგებს, იტალიელებს, გერმანელებს შორის დამყარებული საერთო კანონები და ორგანიზაციები არ წარმოადგენენ ამ ხალხისთვის გზის მაჩვენებელ ცეცხლს, რომლითაც მათ უნათებდა აღორძინების, ხოლო შემდეგ კი განთავისუფლების გზებს? დიახ, ბოლოს და ბოლოს, არაა აუცილებელი ერთმანეთის სიყვარული. წარმოიდგინეთ, რომ ხასიათთა განსხვავების გამო, ჩვენ გვძულს კიდევაც ერთმანეთი. კანონები, ტრადიციები, ორგანიზაციები, წესრიგი და კარგი ურთიერთობები ხომ კაცობრიობამ მოიგონა მათი მეშვეობით ადამიანებს შორის სიყვარულის არარსებობის გამო გაჩენილი სიცარიელის შესავსებად. საკმაოდ ხშირად ამ დამოკიდებულებაში მთავარ როლს ასრულებს ადამიანების მიერ დადგენილი მეგობრული პირობები, შეთანხმება და მტკიცე ორგანიზებული წესრიგი. არაერთხელ ყოფილა, რომ სწორედ ასეთი ურთიერთობების დამყარებას შეურიგებია ერთმანეთთან მტრები, ისინი ერთმანეთის მოყვარულ მეგობრებად გადაუქცევია. “ჩვენი შიდაკავკასიური განსხვავებები და უთანხმოებები წაადგება მხოლოდ გარეშე ძალებს” – წერდა 1895 წელს ქართულ ჟურნალ “მოამბეში” ცნობილი ქართველი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე და კავკასიელ ხალხებს მოუწოდებდა გაერთიანებისაკენ. თითქოს საპასუხოდ, 1898 წლის იანვარში, როდესაც ქართველებმა საქართველოს მეფე ერეკლეს გარდაცვალების 100 წლისთავის გამო პანაშვილი გადაიხადეს, მცხეთის ძველი ტაძრის კედლებმა ვერ დაიტიეს მთელი კავკასიის წარმომადგენლები, რომლებიც რათა თავისუფალი საქართველოსა და კავკასიის ემბლემად ქცეული სახელგანთქმული ქართველი მეფის საფლავისათვის პატივის მისაგებად ჩამოვიდნენ. განჯის, ერევნის, დაღესტნის, სომხების, ოსებისა და ყაბარდოს წარგზავნილნი ქართველებთან ერთად ვიწრო წრედ შემოერტყნენ ერეკლეს აკლდამას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში და პირველი რევოლუციის დროს, ეს განწყობა კავკასიაში თითქმის საყოველთაო გახდა. უეცრად არაჩვეულებრივი აფეთქება მოხდა. დაიწყო აზერბაიჯანულ-სომხური სისხლიანი შუღლი. უახლოესმა მეზობლებმა, ქართველებმა, მათ დასახმარებლად მიაშურეს. დაბნეული კავკასიური ხელისუფლება იძულებული გახდა თბილისში ქართული პარტიებისა და საზოგადოებრივი წრეების სახსრებით შედგენილ მოხალისეთა რაზმებს დაყრდნობოდა. საქართველოს ფარგლებში ეს ბრძოლები თავიდან იქნა აცილებული, მაგრამ 1906 წელს ამ შეტაკებებმა სისხლიანი და ხანგრძლივი ხასიათი მიიღო განჯაში, ბაქოში და ერევანში. ქალაქ განჯაში შექმნილ ადგლობრივ შემრიგებელ კომისიაში, ამ სისხლიანი დრამის კულისებს ფარდა აეხადა, როდესაც ისმაილ ხან ზიატხანოვმა განჯელი სომხების მეთაურს – მერიქ ბეგლაროვს მიმართა:

ფოტოზე: სვეტიცხოველი, ერეკლე II-ეს განსასვენებელი

- “სომხებო, დიდი ხნის მანძილძე გვერდიგვერდ მცხოვრებ ჩვენს ხალხებს არაფერი მსგავსი არ განუცდიათ. პირიქით, ისინი იყვნენ კარგი მეზობლები და გაჭირვებაში მუდამ ეხმარებოდნენ ერთმანეთს. რა მოხდა ახლა? ვის სჭირდება ეს სამარცხვინო შინაარსლილობა, სასაკლაო? ის არც ჩვენთვის და არც თქვენთვის არაა საჭირო!”.

–“მართალი ხართ, ხან, – უპასუხა ბეგლაროვმა,– ესაა შედეგი შხამისა, რომელსაც ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ხალხს ვიღაცის ძლიერი ხელები ასმევდა, მაგრამ ეს ხელები კავკასიის გარეთაა” (ამ სტრიქონების ავტორი თვითონ იყო 1906 წელს განჯაში ამ შემრიგებელი კომისიის მონაწილე.)

თავადი გოლიცინის ხანიდან კავკასიაში მოქმედი ეს “ძლიერი ხელები” ერთაშორის თანხმობებს ხელოვნურად ქმნიდნენ. მაშინ ისინი უმთავრესად ძლიერი სომხური პარტიის – დაშნაკცუტიუნის მზარდი გავლენის წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი და ამავე დროს ამიერკავკასიის მაჰმადიანთა დასუსტებას ცდილობდნენ. პეტერბურგის ხელისუფლება არასდროს არ ენდობოდა მაჰმადიანური სახელმწიფოების გვერდით მცხოვრებ მაჰმადიანებს.

10 წლის შემდეგ, კავკასიის ეს გარეშე გავლენები ოფიციალურმა დოკუმენტებმაც დაადასტურა; 1916 წლის 3-16 ივლისს, საგარეო საქმეთა მინისტრის ს. დ. საზონოვისადმი მიმართულ წერილში კავკასიის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, ღიად აცხადებდა შემდეგს: “მე ვერ დავმალავ, რომ მხარეში არსებულ ეროვნულ უთანხმოებებზე დიდი გავლენა, შეიძლება გაუცნობიერებლად,

სამხარეო ხელისუფლების მიმართულებამ იქონია" ("რაზდელ ტურციი", I გამოცემა, მოსკოვი, 1924, გვ.211) ეს დოკუმენტი პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწერა, როდესაც ცენტრალურ სახელმწიფოთა ფრონტში უკვე შესულმა თურქეთმა რუსეთს საომარი მოქმედებები გაუხსნა.

დადგა კავკასიელ მაჰამდიანთა დრო. გამოაშკარავდა რუსული სამხარეო ხელისუფლების უნდობლობა მათ მიმართ. არასაიმედოობის, ჯაშუშობის და ღალატის ბრალდებით მაჰმადიანებს უანგარიშოდ ყრიდნენ ციხეებში, აგზავნიდნენ ციმბირში და სიკვდილით სჯიდნენ. ქართული წრეები აქაც აქტიურად ჩაერევიან მოვლენებში და სამხედრო სასამართლოებისათვის გადაცემულ კავკასიელ მაჰმადიანებს იურიდიულად დაიცვეს. ქართველი ადვოკატები ნებაყოფლობით ჩავიდნენ ბათუმში, ყარსში და სხვა ქალაქებში, სიკვდილისაგან დაიცვეს და კატორღისაგან გაანთავისუფლეს ასობით კავკასიელი თანამემამულე. "ჩვენ ვამაყობთ კეთილმეზობლური ურთიერთობებით, რომლებიც უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენს მხარეში ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის დამყარდა. მაჰმადიანებმა გაიგეს, რომ ქართველი მეზობლების სახით, საქმე აქვთ ხალხთან, რომელიც ღიად ცხოვრობს დევიზით: "იცოცხლე და სიცოცხლის საშუალება მიეცი სხვას". ესაა ყოველგვარი ადამიანური თანაარსებობის დიდი და ბრძნული საწყისი, ეს იქნება ცალკეულ პირთა, საზოგადოებების, წოდებების თუ ხალხთა თანაარსებობა, რომელსაც ასე გულწრფელად მისდევენ ცხოვრებაში ქართველები. ეს არის წყარო იმ სიმპატიებისა, რომლებიც მომავალი თაობების საკეთილდღეოდ ქართველეთა მიმართ აქვთ კავკასიელ მაჰმადიანებს". ეს სიტყვები 1915 წელს, ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის კუბოსთან ბაქოს, განჯისა და ტფილისის მაჰმადიანური კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენელმა, პირველი სახელმწიფო დუმის წევრმა ალი მარდან ბეკ თოფჩიბაშიმ წაემოთქვა ("ზაკავკაზკაია რეჩ", 1915 წლის 9 თებერვალი).

არანაკლებ რეალური იყო ქართველებისა და მთიელების ურთიერთსიმპათიები. მათი დემონსტრაცია 1917 წლის მაისში, ვლადიკავკაზში გამართულ, ყველა მთიელი ხალხების წარმომადგენელთა ყრილობაზე მოხდა, როდესაც მთიელთა ყრილობამ უჩვეულო ოვაცია მოუწყო ტფილისიდან ჩასულ ქართულ დელეგაციას, უფროსმა შეიხმა ლოცვა გურჯისტანისათვის წაიკითხა. მან ალაჰს ქართველებისა და მთიელების მეგობრული ურთიერთობების განმტკიცება შესთხოვა.

ძველი კავკასიური ერთაშორისი მეგობრობა სძლევდა უცხო მავნებელ გავლენებს, კავკასიელების ერთმანეთისაგან გასათიშად აგებულ ყველანაირ ზღუდეებს, ისე ჩანდა, მას თითქოს პოლიტიკური ნაყოფი უნდა მიეცა ისტორიული ტეხილის განთავისუფლების წინ და 1917 წელს, დიდი რუსული რევოლუციის დასაწყისში კავკასიური პრობლემის კვანძი თითქოს უნდა გაეხსნა. მაგრამ ეს არ მოხდა. ჯერ კიდევ არსებობდა არახელსაყრელი პირობები, ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული უცხოურ გავლენათა მძიმე მემკვიდრეობა და მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელი ერების წარმომადგენლებმა იმ დროს რამდენჯერმე სცადეს მოლაპარაკება და გაერთიანება, მათ ყოველივე ამის სასურველ ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლეს. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი აქაც კავკასიის გარეთ იყო: კავკასიელ ხალხთა ორიენტაცია რომანოვებისა და ოსმალების იმპერიების მტრობამ სამ მიმართულებად დაამსხვრია.

კავკასიის მაჰმადიანი ხალხების სიმპათიები თურქეთის მხარეს იყო. სომხებს, რომელთაც თურქების მხრიდან გაწყვეტის საშიშროება ემუქრებოდათ, რუსეთის იმედი ჰქონდათ. ქართველი ხალხი არ ენდობოდა არც ჩრდილოეთს, არც სამხრეთს და თავისი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის მხარდაჭერას ევროპაში ეძებდა.

ეს ორიენტაციები, საკმაოდ გარკვევით კავკასიელი ხალხების ხელმძღვანელმა პარტიებმაც გამოავლინეს: "ჩვენ დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს", განაცხადა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა ნოე ჟორდანიამ, საქართველოს პარლამენტში მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში. ასე გასცა მან პასუხი ბოლშევიკური მოსკოვის პოლიტიკოსებს.
"ეროვნული მოთხოვნების საკუთარი ძალებით დაკმაყოფილება ჩვენ უაღრესად არასწორედ და მცდარად მიგვაჩნია. ჩვენ მთლიანად უნდა ვენდოთ დიდსულოვან რუსულ დემოკრატიას: მან გასრისა თვითმპყრობლობა და გადაწყვეტს ეროვნული საკითხსაც ისე, როგორც ამას ცალკეულ ეროვნებათა ინტერესები ითხოვს" - წერდა 1917 წლის 24 აპრილს პარტია დაშნაკცუტიუნის ხელმძღვანელი ორგანო "ორიზონ". ეს აზრი, 1917 წლის 24 აპრილს, ხალხური თავისუფლების პარტიის მე-8 ყრილობაზე ცნობილმა სომეხმა მოღვაწე, კრისტოფირ ვერმიშვმა კიდევ უფრო გარკვეულად გამოთქვა (გამოქვეყნდა გაზეთში "რეჩ"). "თავდასხმები იმაზე, რასაც რუსულ იმპერიალიზმს უწოდებენ, სრულიად გაუგებარია. ამ იმპერიალიზმმა კავკასიაში სამართლებრივი წესრიგი და ის უზრუნველყოფილი ცხოვრება შექმნა, რომელიც სომხებს მანამდე არ ჰქონიათ. ამ იმპერიალიზმს უპრობლემო ცხოვრება მოაქვს მაჰმადიანური უღლით გატანჯულებისათვის. სომხეთი მრავალი წელი ელოდებოდა იმას, რომ რუსული იმპერიალიზმი სომხებს თურქულ უღელს მოაშორებდა".

ფოტოზე: 1924 წლის აჯანყების შეფიცულები. ცენტრში ზის ქაქუცა ჩოლოყაშვილი

აზერბაიჯანული პარტია მუსავატი კი თავის პოლიტიკურ პროგრამაში შემდეგნაირად განსაზღვრავდა საკუთარ მიმართულებას. პარტია მიზნად ისახავს შემ-დეგს: ა)აზერბაიჯანის, თურქესტანის, ბაშკირეთის ტერიტორიული ავტონომიის მოპოვებას; ბ)ვოლგისპირეთის, ყირიმის თათრების და საერთოდ თურქი ხალხების ეროვნული ავტონომისს მოპოვებას. ის არათურქული წამოშობის მაჰმადიან ხალხებსაც გაუწევს დახმარებას (მთიელებს, აჭარლებს, ქურთებს), რათა მათაც მოიპოვონ ავტონომია" (გაზეთი "კასპიი" 1917 წლის მაისი).
კავკასიის გარეთ გამავალმა ამ სამმა წინააღმდეგობრივმა ორიენტაციამ 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმი დაშალა და 1920 წელს სან-რემოს დიდ სახელმწიფოთა კონფერენციაზე საერთოკავკასიური შეთანხმება ჩაშალა.
ამიერკავკასიის სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პოლიტიკური შეუთანხმებლობის დრამატულ ისტორიას იმ წლებში, მეოთხე მნიშვნელოვანი პარტნიორის - კავკასიის მთიელთა ქვეყნის არარსებობა ამწვავებდა. მეზობლების მიერ ჩრდილოეთის სტიქიის პირისპირ მიტოვებული ჩრდილო-კავკასიის მიწები მალე წალეკა ამ სტიქიამ. მტერს ამიერკავკასიაში მიმავალი გზები გაეხსნა, რასაც ამ რესპუბლიკების ზედიზედ დამხობა მოჰყვა. მოსკოვის წითელმა არმიამ მოკლე დარტყმებით დაიპყრო ეს ქვეყნები. საქართველო უკანსაკნელი დაეცა.
ქართული ნაწილების წასვლიდან რამდენიმე დღეში ,ახალმა ბატონებმა ტფილისის მთავარ ქუჩაზე გააკრეს პლაკატი სათაურით – "დააგვიანეს!". მის ქვემოთ აჯანყებული ერევანის მიერ გამოგზავნილი დეპეშის ტექსტი იყო მოყვანილი: - "ქართველებო გამაგრდით, ჩვენ ავჯანყდით", რასაც ბოლშევიკების მიერ სომხეთის აჯანყების ჩახშობის ამბავი მოსდევდა.

სომხების მოწოდება ძველი სომხურ-ქართული ისტორიული ურთიერთობების ანარეკლი გახლდათ, ანარეკლი წარსული თანამეგობრობისა, რომელმაც წუთით გაანათა კავკასიელი ერების მომავალი თაობების ხსნის საიმედო და სანდო გზა.

კავკასიის პრობლემა - 4

კონფედერაციისკენ მიმავალ გზაზე:

„ჩვენი თავი ჩვენსავე მხრებს უნდა ეყრდნობოდეს". „ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილი ყველა ხალხი ორივე ხელით თავის ისტორიას უნდა მოეჭიდოს". "ჩვენ ვიყავით და უნდა ვიყოთ ერთად, ჩვენი უჭკუო შიდაკავკასიური უთანხმოებები მხოლოდ მესამე ძალისთვის იქნება სასარგებლო", წერდნენ და წინასწარმეტყველებდნენ მე–19 საუკუნეში გამოჩენილი ქართველები: ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე. მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა არ გაჰყოლია ამ სანდო კალაპოტს და ჩრდილოეთთან ისტორიული გაყრის დროს, კავკასიაში ბოლშევიკური მოსკოვის ხელისუფლება დამყარდა.

ევროპის მიერ აღიარებული მისი პოლიტიკური უფლებების საფუძველზე მდგომმა, ჯერ კიდევ ევროპული დახმარების ილუზიებში მყოფმა, ბოლშევიკური მოსკოვის მძიმე ქუსლით გასრესილმა საქართველომ, მარტომ კიდევ სცადა უცხოური ძალადობის მორევა და 1924 წელს აჯანყდა. მიუხედავად უზარმაზარი ძალისხმევისა და აჯანყებულთა ბელადის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გმირობისა, ამ ცდამ მარცხი განიცადა. გარედან რეალური დახმარების მაგივრად საქართველომ, იმავე, 1924 წელს, ერთა ლიგის დადგენილებაში ცნობილი რეზოლუცია მიიღო: „თვალყური ვადევნოთ მსოფლიოს ამ ნაწილში მიმდინარე მოვლენებს". აღნიშნულმა „დახმარებამ" საქართველო იმ „პეტრეს მდგომარეობაში ჩააგდო, რომელსაც პავლეს მოსვლამდე მარტო ტყავი კი არა, ხორციც გააძვრეს".

"ეს მოვლენები დღის წესრიგში საჩქაროდ სვამს ჩვენი ხალხებისთვის სასიცოცხლო საკითხს: ოთხი კავკასიური რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობის, მათი კეთილდღეობის ამ ერთადერთი საფუძვლის შექმნას". ამ ღირსშესანისნავ ხელშეკრულებას 1924 წლის სექტემბერში აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და კავკასიელ მთიელთა რესპუბლიკის უფლებამოსილმა პირებმა მოაწერეს ხელი. საბოლოოდ გამოჩნდა გზა; კავკასიის მთებსა და ველებზე ექოსავით გაისმა ძველი მოწოდება „დავუბრუნდეთ ძველ გზას! ხელი გავუწოდოთ მეზობელს!" და იმ დროიდან დღემდე, ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, სხვადასხვა ფორმითა და სახით, კავკასიური, ეროვნული ძალები სასტიკ მჩაგვრელებთან საბრძოლველად ერთიანდებიან. ალაპარაკდნენ ფაქტები და მათთან ერთად აღორძინდა კავკასიური ერთობის ტრადიცია, დაიწყო მისი ხორცშესხმა. მის პოლიტიკურ გამოხმაურებად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ისტორიულ სცენაზე კავკასიური კონფედერაციული იდეოლოგიის გამოჩენა. რა არის ამ იდეოლოგიის არსი? როგორია მისი არგუმენტები? როგორია მისი რეალური პერსპექტივები?

ისტორიული წარსულის მდიდარმა და მიმდინარე ხანის ანალოგიურმა გამოცდილებამ კონფედერალისტებს გარკვევით დაანახვა, რომ კავკასიის გეოგრაფიული მდგომარება გამორიცხავს მისი რომელიმე ნაწილის პრივილიგირებულ ტერიტორიად ქცევას. ცხადია, რომ ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ერთი სიტყვით, მთელი კავკასია თავისუფალი უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხერხდება კავკასიის მისადგომებისა და მისი ხალხების ეროვნული თავისუფლების დაცვა. ამავე დროს კავკასიელი კონფედერალისტები მტკიცედ შეთანხმდნენ იმაზე, რომ ყველა სხვა სახის ორიენტაცია კატეგორიულად უნდა იქნას მათ მიერ უარყოფილი. კავკასიის ერთობის ორგანიზაცია, მის ეროვნულ დინამიკაზე დაყრდნობა და კონფედერატიული კავკასიის გადაქცევა თავისთავად საერთაშორისო ფაქტორად - აი, კავკასიის პრობლემის გასაღები, ამტკიცებენ კავკასიური კონფედერაციის იდეოლოგები.

დასამახსოვრებლად გავიმეოროთ კონფედერაციული კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები:

კონსტიტუციერი სამართალი კონფედერაციად მიიჩნევს, როგორც მის შიგნით, ისე გარეთ თავისუფალი სახელმწიფოების გაერთიანებას. გამონაკლისია მხოლოდ ასოციისათვის დამახასიათებელი შეზღუდვები. ყოველი ასეთი სახელმწიფო ინარჩუნებს თავის სახელმწიფოებრიობას და სუვერენიტეტს. კონფედერაციას, როგორც ასეთს არ აქვს არავითარი სუვერენული ხელისუფლება, ის არაა სახელმწიფო. კონფდერაციული კავშირის მიზანია, ზომების მიღება საერთო და ყველაზე არსებითი ინტერესების დასაცავად. ეს ინტერესებია: 1. კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დაცვა კონფედერაციისთვის გარეშე სახელმწიფოების აგრესიისაგან. 2. მშვიდობის შენარჩუნება კონფედერაციაში შემავალ სახელმწფოებს შორის. 3. ჩარევა კონფედერაციის ყველა სახელმწიფოში შინაგანი მშვიდობის შესანარჩუნებლად. 4. მთავარი ეკონომიკური პროცესების მართვა.

გადაწყვეტილება კავშირის კონსტიტუციით ნებადართული საერთო ზომების მიღების შესახებ, მიიღება კონფედერაციული ცენტრის რესპუბლიკების დეპუტატების საერთო კრებაზე. ეს ზომები შეიძლება ომის გამოცხადებაში, მშვიდობის ჩამოგდებაში, დიპლომატიური აგენტების მივლინებაში მდგომარეობდეს (Dalosa, კონსტიტუცური სამართლის სახელმძღვანელო). ეს დებულებები, ამბობენ კონფედერალისტები, შეიძლება კავკასიური კონფედერატული დაწესებულებების მიერაც იყოს განხორციელებული, ვინაიდან კავკასიის შემადგენელი ეროვნულ-პოლიტიკური ერთეულები დღეს საკმაოდ გაკვეული და მყარია. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს ერთეულები.

უცხოელებს და თავის საკუთარ ისტორიას ჩამორჩენილ ზოგ კავკასიელსაც კი ჰგონია, რომ კავკასიელ ხალხთა გაერთიანება მითია. რასაც ამ ხალხთა შორის არსებული რასობრივი განსხვავებები განაპირობებს. ეს არა მართალი. უკანასკნელი მეცნიერული (პროფესორი ნ. მარისა და სხვათა) მონაცემთა თანახმად, კავკასიაში მოსახლე ხალხები (სომხები, ქართველები და მთიელები) ლინგვისტურად ენათესავებიან ერთმანეთს. ისინი იაფეტიდები არიან. საუკუნეების მანძილზე, მათი ცხოვრების გამაერთიანებელი მრავალი და საერთო კულტურულ-ისტორიული ტრადიციის გარდა, შერევის პროცესებმა ფაქტიური ერთთაშორისი სისხლისმიერი ნათესაობაც დაამყარეს. ამ ქვეყნებში ათასობითაა ამა თუ იმ ეროვნულ ჯგუფში აკლიმატიზირებულ ადამიანთა ერთი და იგივი ძირის გვარი. ამ უხილავმა, მაგრამ მნიშვნელოვანმა პროცესმა დიდი როლი ითამაშა კავკასიელი ხალხების დამაახლოვებელი ადათებისა და ტრადიციების შექმნაში.

შესწორებას საჭიროებს ამავე სკეპტიკოსთა მითითებაც აზერბაიჯანელებზე, როგორც მკვეთრად გამოკვეთილ თურქულ შტოზე, რომელსაც თითქოს, სხვა კავკა-

სიელ ხალხებთან არაფერი აკავშირებს. უეჭველია, რომ მონღოლური ძირის, აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ალბანელებთან, სხვა კავკასიელებთან და შემდეგ სპარსელებთან შერეული ეს ხალხი, დღეს უკვე თავისთავადი, კავკასიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ერია. საერთო ენა თურქებთან, ამ ორ მონათესავე თურქულ შტოს შორის არსებულ განსხვავებას ვერ ფარავს. რელიგიური თვალსაზრისით, აზერბაიჯანელები სანახევროდ შიიტები არიან. კულტურის სფეროში ისინი თურქებისგან ცალკე დგანან. მათ მუსიკას, პოეზიას, წეს-ჩვეულებებს და ცხოვრების წესს ბევრი რამ აქვს ღირებული და ორიგინალური, რომელიც საერთო კავკასიურთანაა გადაჯაჭვული. ეს გასაგებია იმიტომ, რომ აზერბაიჯანის სახანოების მთელი ისტორია საუკუნეების მანძილზე უმჭიდროესად იყო დაკავშირებული სპარსულ გავლენასთან, შიგნით კი კავკასიელ ხალხებთან.

კავკასიელი ხალხების გაერთიანებას ხელს ვერ შეუშლის მათი რელიგიური სხვაობები, ქრისტიანული და მაჰმადიანური რელიგიების ლოიალიზმი ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებულია. მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები კავკასიის რელიგიურ ისტორიაში. ცნობილია ქართველი მეფეების რელიგიური პოლიტიკა. ისინი ქრისტიანულ ეკლესიებთან ერთად, მაჰმადიანურ მიზგიდებსაც აშენებდნენ. ეკლესიებში



ფოტოზე: წმინდა გიორგი, ალავერდის ტაძრის ფრესკა

წირვის შემდეგ, ისინი ყურანის ბრძნულ გამონათქვამების მოსასმენად მიზგითში მიდიოდნენ.

ქართული და სომხური წყაროები ერთ მრავლისმეტყველ ფაქტს აფიქსირებენ: მე-12 საუკუნეში, თამარ მეფის მეფობის ხანაში ორ გრიგორიანულ ეკლესიას ქონების გამო დავა მოუვიდა. მოდავე მხარეებმა დახმარებისთვის დედოფალს მიმართეს. თამარ მეფის განკარგულებით საგანგებო სასამართლო იქნა მოწვეული, რომლის წევრებიც ქართველი მართლმადიდებელი კათალიკოსი, მაჰმადიანი შეიხულისლამი და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლები იყვნენ. სწორედ ამ სასამართლომ გადაწყვიტა ორი სომხური ეკლესიის დავა.
პროფესორმა ნ. მარმა 1904-1907 წლებში, კავკასიის სომხეთის ძველი დედაქალაქის, ანისის გათხრისას ერთი და იგივე ხანის ნაგებობები აღმოაჩინა: სომხური კათედრალი, მის გვერდით მაჰმადიანთა მიზგითი და შორიახლის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ისინი სისხლიანი ბრძოლებისა და რელიგიური განხეთქილებების პერიოდში თანაარსებობას ახერხებდნენ!

ქართულ ხალხურ ლეგენდებს ჯერ არ დავიწყებია, როგორ გადაარჩინა ერევნის ხანმა გაავებული შაჰ-აბასის ჯარისკაცებისაგან ძველი ქრისტიანული სვეტიცხოველი. რელიგიური ლოიალიზმის ცოცხალი ძეგლი საქართველოში კახური ტაძარი "ალავერდია". ყოველ წელს, 14 სექტემბერს, საეკლესიო დღესასწაულის დროს, ამ ეკლესიის ათასობით მომლოცველს შორის მრავალი მაჰმადიანია (ინგუშები, ლეკები, თათრები). მიღებული ადათის თანახმად, მაჰმადიანთა თხოვნით, მათი ყონაღები (მეგობრები), ქრისტიანები, მაჰმადიანთა მიერ შერჩეულ ხატებს სანთლებს უნთებენ. ღმერთი ერთია, დედამიწა ერთია და ჩვენი ადათიც ერთია – ამბობენ ალავერდის ქრისტიანულ ტაძართან მისული ქრისტიანები და მაჰმადიანები.
/დასასრული შემდეგ ნომერში/

დათუნას ეკლესიის საკვირველი ბედი

ეკლესია რომელიც იმამ შამილის დროს გაცოცხლდა



ფოტოზე: ქართული წარწერა, დაღესტანი

სტატისტიკის თანახმად, რუსეთის ყოველი მეორე მიზგითი დაღესტანშია, თუმცა იგი მისი ისტორიის შუა საუკუნეების პერიოდში ქრისტიანული იყო. ქრისტიანული გახლდათ კავკასიის ალბანეთიც (ავტორის აზრით სამხრეთ დაღესტნის მიწის ნაწილი. მთარგმნელი). ქრისტიანული იყო შუა საუკუნეების ავარული სამეფო სარირი, ცენტრით ხუნზახში. თავისი აყვავების ხანაში, სარირის სამეფო «ბიზანტიის ერთა თანამეგობრობაში» (დიმიტრი ობოლენსკის ტერმინი) - აღმოსავლურ ქრისტიანულ ქვეყანათა კავშირში შედიოდა, რომელსაც ბიზანტია მფარველობდა. კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი სარირს საქართველოსთან ჰქონდა. პირველი ავარული წარწერები აქ ქართულადაა გაკეთებული. შემდეგ ავარლები გაამაჰმადიანეს. მათი მიდრეკილება მონოთეისტური ღირებულებებისკენ ავარეთის მიწაზე ათასზე მეტი წლის მანძილზე მსოფლიო მონოთეისტური რელიგიების გავრცელებით აიხსნება. ***გიორგი მარჯანიშვილი***

გთავაზობთ ორ ფრაგმენტს დაღესტნელი მკვლევარის - პატიმატ ტახნაევას ნაშრომიდან

შუა საუკუნეების ქართული წყაროებით, ამ პერიოდში დაღესტნის ტერიტორიაზე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიები - ხუნზახის და ანწუხის ეპარქიები არსებობდა. ალბათ სწორედ ამ დროს აშენდა ეკლესიები. ერთადერთი მთლიანად შენახული ეკლესიაა X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისით დათარიღებული დათუნას ეკლესიაა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია VII-XIV საუკუნეების კიდევ რვა ეკლესია. უეჭველია, რომ X-XIV საუკუნეების დაღესტანში ეკლესიათა რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე ეს დღესაა ცნობილი. არაა შემთხვევითი, რომ XV საუკუნის ქართულ მატიანეში, ავტორი მწუხარებით აღწერს თემურ-ლენგის შემდგომი ხანის შიდა დაღესტანის სავალალო მდგომარეობას: «...ლეკეთში გვხვდება სხვა ტაძრებიც და მონასტრებიც, ზოგი მათგანი ნაგებია თლილი ქვებით, ზოგი ნანგრევებადაა ქცეული, ზოგი დაცარიელდა და ზოგი კი მიზგითებადაა ქცეული».
საერთო ჯამში, ავარეთში, სხვადასხვა წყაროს - ქართულ მატიანეთა, XIX საუკუნის ავტორთა, ადგილობრივ თქმულებათა თანახმად არქეოლოგიური მასალებით დადასტურებული, 18 ეკლესიის არსებობის შესახებაა ცნობილი.

დათუნას ეკლესია

ხატან-ზუგებ-კალის ხეობის სიღრმეში მდებარე დათუნას ეკლესია უეცრად ჩნდება და შორიდან მოოქროსფრო-ყვითელი ქვიშაქვით ნაგებ პატარა სახლს ჰგავს. მას დაუნდობლად ანგრევს დრო, კიდევ უფრო მეტად კი გულმავიწყობა და სიველურე. სკოლის მოწაფეებმა ეკლესიის კედლები წარწერებით დაფარეს და თეთრი ბათქაშით შეაბათქაშეს. ამ არაჩვეულებრივად მსუბუქი და დახვეწილი ნაგებობის ბედი უცნაურია. ჯერ კიდევ X საუკუნეში, დაღესტნის მთებში ქრისტიანობის გავრცელების ხანაში აგებული და მაჰმადიანობის დამკვიდრებასთან ერთად დავიწყებული ეს ეკლესია, იმამ შამილის დროს, კავკასიის ომის პერიოდში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი) ისევ გაცოცხლდა.

ცნობილი შეიხის და შამილის მოძღვრის შვილის, აბდურახმან ყაზიყუმუხელის, მოგონებებში «ხულასატ ატ ტაფილ» (1868) ეს საოცარი ისტორია ცოცხლდება: «ჩეჩნეთში, დარგო-ვედენოში, რუსი ჯარისკაცებისა და სტაროვერების მთელი სოფელი გაქცეული იყო. მისმა მოსახლეობამ შამილს მის მიწებზე დასახლების უფლება სთხოვა. იმამი დათანხმდა. სახლები მათ ააშენეს დარგოსთან ახლოს სიმაღლეზე, ტყეში, სადაც ბევრი სიმწვანე და ცივი, სასიამოვნო წყალია. ააგეს სალოცავის მსგავსი შენობა, კუთხეებში დაკიდეს საკუთარი ხატები; სახლებთან დარგეს და დათესეს ცოტა კომბოსტო, ხახვი, სიმინდი და ასე ცხოვრობდნენ წყნარად... სალოცავში შესვლის უფლება მე დამრთეს, ჩემი ამხანაგები კი არ შეუშვეს. შევედი და ვნახე ბევრი ხატი, სასანთლეები, ბერებს გრძელი ბალახონები ეცვათ. რამოდენიმე თვეში ისინი გოგოთის მდინარესთან (ე.ი. დათუნას ეკლესიასთან, ავტორი) გადავიდნენ».

ეს ნამდვილი ისტორიაა

თერგის კაზაკებიდან გამოსული სტაროვერები, რომელთაც მთავრობა სდევნიდა, 1849 წელს თერგზე გადავიდნენ, მთებში ავიდნენ და იმამ შამილს განმარტოებით დამკვიდრების უფლება სთხოვეს. მათ უბრალოდ მშვიდობიანად და თავისი სარწმუნოების შესაბამისად ცხოვრება სურდათ.
იმამის ისტორიოგრაფი ჰაჯი-ალი ჭოხელი, თავის ჩანაწერებში საუბრობს ჯარისკაცებზე, რომლებიც ცოლ-შვილით და ორ მღვდელთან ერთად დარგო-ვედენოში მივიდნენ და შამილს დასასახლებლად მიწა სთხოვეს. იმამმა მიწა და ადგილი მიუთითა, სადაც მათ ეკლესია ააგეს. მოგვიანებით, როდესაც სტაროვერების ნაწილი დათუნას ეკლესიასთან გადასახლდება, იმამ შამილი თავის ადგილობრივ ნაიბს «მათ დასახლებას, ნათესებისთვის ადგილის მიცემას და დაცვას» უბრძანებს. ცნობილია, რომ ეს თემი 1852 წლამდე არსებობდა.

ადგილობრივი გადმოცემებით, მთიან დაღესტანში, სოფლებს - ბაცადას, უანტის, შაულანის და კულაბის მიმდებარე ტერიტორიებით, რომლებიც საზოგადოება კარახს ეკუთვნოდნენ, ძველად სიტყვა-სიტყვით «ქართველობა» (რუსულად «გრუზინსტვო») ერქვა. მათი მოსახლეობა ქრისტიანი იყო.
ამ სოფლების სასაფლაოებზე ქრისტიანთა საფლავები და ჯვრის მრავალი გამოსახულებაა. აღნიშნული საზოგადოების ქრისტიანული კულტურის ყველაზე გამორჩეული და სრულებით უკვლევი ძეგლია ზიარათი - «თამარის საფლავი», რომელიც ამ სოფლებიდან 10-15 კილომეტრის მოშორებით მთის თხემზე მდებარეობს. საფლავებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები დღემდე ნაწილობრივ შემორჩენილია. მლოცველები მათ მაჰმადიანური დღესასწაულების დღეებში აკითხავენ. მათთანაა დაკავშირებული წვიმის მოხმობის, ადამიანთა და პირუტყვის გამოჯანმრთელების თხოვნასთან დაკავშირებული მაგიური წეს-ჩვეულებები.

ამ ადგილების გვერდით თეთრი და მწვანე ნაჭრის ბაფთიან მაღალ ჭოკებს ასობენ. ზიარათს მაჰმადიანური ხასიათი აქვს. მას თაყვანს სცემენ მაჰმადიანები (ალბათ სუფიები, ვინაიდან შარიათის მკაცრად მიმდევრები ამ რიტუალს ებრძვიან. მთარგმნელი). მისი სახელი გვაფიქრებს.

ზოგადი დათვალიერებითაც ცხადია, რომ ზიარათი გადააკეთეს ან აღადგინეს. კედლის წყობის ქვედა იარუსში, IV საუკუნის ქართველი მისიონერი წმინდა ნინოს ჯვრის გამოსახულებით ქვაა დარჩენილი. ესაა თანაბარმკლავიანი ქრისტიანული ჯვარი, რომელიც დიაგონალზე «გადახაზულია» მეორე ჯვრით. გადმოცემით, წმინდა ნინომ, ჯვარი ვაზის ორი შტოსგან გააკეთა და ერთმანეთზე თავისი თმებით შეჰკრა. ჩვენს მიერ აღმოჩენილ ქვაზე, რომელიც ვიღაც თამარის საფლავისაა, მისი სიმბოლური გამოსახულებაა. ამ საფლავს მეზობელი სოფლები, რომელთაც ყველას ერთად «გურჯიხლის» უწოდებენ, დიდ პატივს მიაგებენ. რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ ქრისტიანი მისიონერი უნდა იყოს დაკრძალული, რომლის სახეც მოგვიანებით მაჰმადიანურ სახედ გადაიქცა ...».

ფოტოზე: დათუნას ეკლესია, დაღესტანი, X-XI საუკუნეების მიჯნა



დავით გურამიშვილი

ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის

ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე; კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა, -
ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.

დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიხსენებსა,
ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მზგავსთა სენებსა;
მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა,
ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განისვენებსა.

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

ჩემის უცებით შევატყევ, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია.
ავი და კარგი გარჩევით, ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია.
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია.
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია!

ვით უსაჭურლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს, -
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

ვსძებნე და ვერა ჰვპოე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა!

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა.
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა,
გლახა კარის-კარ თხოვნითა, - შენა გწადს აწ რომელითა?

ზოგი ხომ ძოღან გაჩვენე მშვიდიოდ სარჩოს ძირობა;
მერვე - ხელმწიფე დარჩების, ვისაც აქვს ქვეყნის მჭირობა,
მეცხრეა - არჩენთ მწყემსობა, უქნიათ მენახირობა,
მეათე - მიჯნურთ სურვილი, ტრფიალთა შენამზირობა.

მიჯნური, მწყემსი, ხელმწიფე, გლახაკი, გინა მხვნელია,
მოლაშქრე, ვაჭარ, ხუცესი, ოსტატი, ბრძენ-მსიტყველია,
ათისავ თვითო მოგითხრა, რომელი რისაც მქნელია.
რომელიც გინდა, იქონე, ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია!

მიჯნურმან უნდა ტრფიალი გულ-მართლა შეიყვაროსა,
მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით, აროდეს გაეყაროსა;
უმისოდ ჭირად სახევდეს ყოველსა გასახაროსა,
ტკბილად სჩნდეს მისთვის სიკვდილი, სიცოცხლე გაიმწაროსა.

მწყემსობა უნდა სიფრთხილით, აქვნდეს მცირედი ძილია:
მუდამ მხნედ სამწყსოს უვლიდეს, დღე ყინული თუ თბილია;
„მწყემსმან კეთილმან ცხვართათვის დადვისო სული ტკბილია“,
ვინც ბრძანა, მან მე მარიდოს უხილავთ მხეცთა კბილია!

ხელმწიფე უნდა მართალი, ვით ბრძენთა დაუწერია,
ბრძენი, უხვი და მოწყალვ, მრისხველი ზომიერია;
სჯულმტკიცედ, სწორეს სამართლით იყოს და ყვანდეს ერია,
მწყსიდეს, მწყემსობის ნიშანი - ხელთ სკიპტრა - მას უჭერია.

გლახაკი უნდა მდაბალი, ტკბილისა ენაპირისა,
მლოცველი ყოვლის სულისა, სულ დიდისა და მცირისა;
უყვარს, ვით იობ, უფალსა გლახა მომთმენი ჭირისა;
სძულს ღმერთსა ამპარტავნობა მეტადრე გლახა მწირისა.

უნდა მხვნელთა და მთესველთა, მწიდვნელთა, გინა მბარავთა,
მზის აღმოსვლითგან ჩასვლამდე შიგ არ შეხედონ კარავთა,
ცხელის ოფლითა დამწვართა ჩირდილთ ქვეშ მიუკარავთა,
რაც იმუშაკონ, ჭამონ და აჭამონ ქვეყნის მფარავთა.

მოლაშქრე უნდა ჭაბუკი, თამამი, თავ-მდაბლოვანი,
მეპატრონეთა ერთგული, მორჩილი, სამართლოვანი,
მხნე, ამხანაგთა მოყვარე, მამაცი ძალგულოვანი,
გულ-სრულად მებრძოლთ მებრძოლი, არ სუსტი, მაგარ-მკლოვანი.

ვაჭარი უნდა სარფისა, სამთვრალოს არას სვემდესა,
ყომარბაზობას ერიდოს, სიწმიდით თავსა სცევდესა,
მეტად უზომოდ არამსა ალალში არა რევდესა,
სწორეს ადლსა და სასწორსა ხელში არ ამრუდებდესა.

ხუცესი უნდა მამაცი, არ თუ ჯაბანი, მხრდალია.
ხუცესს არ ეთქმის: „ჭირშიგან ვერ შევალ, სარიდალია“.
ხუცესმან უნდა დამარხოს, თუ კაცმან სული დალია,
ხუცესიც ბევრს რიგს დანაკლებს, თუ მეტი ღვინო დალია.

ოსტატი, უფლის მოშიში, დავითმან ქებით შამოსა:
ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა თვისთა ჭამოსა:
ცოლით არს ვით მსხმო ვენახი კიდესა სახლ-მიდამოსა
შვილნი ხედ ზეთისხილადა ურგს ტაბლის გარეშამოსა.

აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია.
ცხოვრებდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;
ბრძენმან არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია.

ათივ ეგ იყო, მოგითხარ სხვა არა მისგან კიდია.
რომელიც გინდა, ირჩიე, აიღე, ხელი ჰკიდია:
გერჩიოს, გლახათ იარე, გერჩიოს, ყანას მკიდია,
მე შენთვის აღარ მცალიან, ყმაწვილის ვალი მკიდია.

ვით ძნიად წნორი ბერფუყი და იგრიხების წნელადა,
ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა,
ვით ახალ მორჩი ვაზისა ხელს მიყვეს საფურჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს - გასაწვრთნელადა.

ერთს სიტყვას გეტყვი, მისმინე, ყმაწვილო, შენს მორჩენასა!
თვალს ნუ ახეხებ ბნელთათვის, ნუ ჰკარგავ ნათლით ჩენასა;
ნუ ეშურები ფეხითა უკეთურთაყე რბენასა,
ხმა მოუდაბლე ორღანოს, აშიყ-მაშიყად სტვენასა.

იქმოდე გულის თქმისასა გემოვნებისა თმენასა,
თავს თაფლი, ბოლოს ძირმწარე ნუ გეტკბილების ენასა;
გულით უფრთხოდე, ყურითა, სასაფრხოს სიტყვის სმენასა,
მით შაეყრები საყვარელს, შენს ლამაზს სულის ლხენასა.

ალაბულათი ნუ ავსებ წმინდად გარცხილსა მენასა,
გაგიჭირდების გარეცხა, შეიქ ოხვრას და ქშენასა;
იტყვი: „რა უყავ ჩემ თავსა“, - დაიწყებ კბილთა ღრჭენასა,
„დავით რომ კარგათ მასწავლა, მე იგი რასთვის მენასა!“

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?
ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს ულაგმო და უსადაო?

უნდა ქალმან და ყმაწვილმან დაჰხუროს ბაგე კბილოსა,
ფეხი არ ახსნას საბლითა და ენა შებორკილოსა;
არ მისცეს ნება შეძვრისა წარბს, წამწამს, თვალის კილოსა,
არცავინ თვით სხვა გაკილოს, არც სხვისგან გაიკილოსა.

ნუ მეტყვით: ჩვენ რად გვასწავლე, რაც თვით არ გაქვნდა ზრდილობა?
რად გვიქე კაცმან ჯაბანმა მამაცთა ხმალ-მოწვდილობა?
უცოდინრობა ავია, მაქვს მისი გამოცდილობა,
ჩემსავით სიცხით ნუ იწვით, მონახეთ ნიავ-ჩრდილობა.

სოლომან ბრძენი სიბრძნითა თავი არს ყოვლის ბრძნებისა;
ბევრი რამ კარგი დასწერა წიგნები ღვთის ბრძანებისა;
ერთი იმასაც მოუხდა გატეხა რამე მცნებისა,
თუ გიჯობთ, ნურცა მას უსმენთ, სიტყვა დამირთავს ნებისა...

მრუდი ხომ არა მითქვამს რა, ამასაც ვიტყვი სწორსაო,
საქმესა თვალით ნახულსა, არ მოგონილსა, ჭორსაო:
მინახავს ერთი პირუტყვი გორსა თუ ახალგორსაო,
თავისთვის მუტრუკს აკეთებს, სხვათ გაუკეთებს ჯორსაო.

რაგინდ ბრძენ იყოს მკურნალი, კარგად ატყობდეს მაჯასა,
სხვისას შეიტყობს, თავისას ვერას გაიგებს ხვანჯასა;
თვით სხვას უწამლებს, თავისთვის სხვაზე მიჰყუდებს ბარჯასა, -
მე ვერ ვირგე და თქვენ გარგე, ამად რად მიზამთ ჯაჯასა?

თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვხედავ ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა;
ბერს გამოცდილთ არა ვჰკადრებ, მოგახსენებ ახალ ყრმათა:
თუ ცურვასა არ ისწავლით, ვერ გაუხვალთ წყალთა ღრმათა,
წკეპლის ცემით დაშუშხვა სჯობს საუკუნოდ ცეცხლში ბმათა!



ფოტო ზე: დავით გურამიშვილი. მხატვარი უჩა ჯაფარიძე

შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის 10 მაისს
www.ai-ia.info

როჟე-პოლ დრუა, პარიზი, 2008

ყველასათვის ახსნილი დასავლეთი

ᲑᲐᲑᲘᲫᲔᲚᲔᲑᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ: "ᲐᲘ ᲘᲐ.„ , Nr.1

თავი II - ოჯახის ისტორიები

რამოდენიმე სიტყვით საკმაოდ რთულია დაახასიათო დასავლეთ ევროპა და გასნსაღვრო მისი მსოფლიო მნიშვნელობა. „ბებერი კონტინენტის" მახასიათებლები საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. თითოეული მათგანი ევროპასთან ერთად ჩნდებოდა, ვითარდებოდა და ქრებოდა. თუმცა, ისტორიასა და პირუთვნელ მატიანეს შეუმჩნეველი და შეუფასებელი ერთი მნიშვნელოვენი დეტალიც კი არ დაუტოვებია... დასავლეთის განსაკუთრებულობას სამი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს. გავლენის ეს სფეროები დღემდე მეტ-ნაკლებად ისევ განაგრძობენ დასავლეთის ადგილის როლისათვის განსაკუთრებული ხასიათისა და მნიშვნელობის მინიჭებას. ბერძნები და რომაელები, ებრაელები და ქრისტიანები, მეცნიერები და ინჟინრები; შეგვიძლია სამივე კომპონენტი თანმიმდევრობით განვიხილოთ, აღვწეროთ და განვსაზღვოთ რა მისცა დასავლეთს თითოეულმა მათგანმა.

პირველი ფესვი ანტიკური ხანის ბერძნულ კულტურაშია აღმოცენებული. ბერძნებმა ფილოსოფია, სხვადასხვა მეცნიერებები, რაციონალური კვლევა, დემოკრატია და სახალხო დებატები გამოიგონეს. თეატრი, ტრაგიკული და კომიკური პიესებიც იმდროიდან იღებენ სათავეს. სწორედ ეს ნიშანი წარმოადგენს დასავლური კულტურის მთავარ მახასიათებლებს. ისინი არ ყოფილან მუდამ, საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ მრავალჯერ გამოჩნდნენ. ამიტომ არის, რომ თანამედროვე დასავლურ საზოგადოებას დღესაც არსებითად განსაზღვრავს დემოკრატიისა და საჯარო დებატის, ფილოსოფიური კრიტიკის, რაციონალური ძიების და მეცნიერული კვლევის შეერთება. დემოკრატიის განმსაზღვრელი ანტიკური ხანისყველა ბერძნული წარმონაქმნი არ გახლავთ. თუმცა ათენის მოდელმა გადამწყვეტი როლი შეასრულა თანამედროვე ევროპის არსებობაში. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ათენელების თავისუფლება ღმერთებისაგან დამოუკიდებლობით გამოიკვეთა. პირველად მოხდა ისე, რომ ადამიანები და მხოლოდ ისინი წერენ საკუთარ კანონებს, მათ არ იღებან გარედან. სავარაუდო ღვთაებრივი ნებისადმი მორჩილების ნაცვლად ათენელები თვითონ ადგენენ საზოგადოების წესებს. სწორედ ამას ნიშნავს ცნება «ავტონომია» (ბერძნული სიტყვებიდან «აუტოს», «თვითონ» და «ნომოს», კანონი). ბერძნებმა პირველებმა დაიწყეს პოლიტიკის რელიგიისაგან გამოყოფა. ამის ხაზგასმა საჭიროა იმიტომ, რომ ამ შორეული მემკვიდრეობის არსებობა დღევენდელ დღეს გამართულ დებატებში საკმაოდ აქტუალურია. პოლიტიკისა და რელიგიის ერთმანეთისგან განცალკევება ღვთისადმი მორჩილების საწინააღმდეგო რამ არის. მაშინ, როდესაც მაჰმადიანობა საპირისპიროს ქადაგებს.

ბერძნებმა დასავლეთს ასევე უანგაროდ უანდერძეს განსაკუთრებულობის, სხვასთან შედარებით მათი უპირატესობის იდეა. ყველა ცივილიზაციას თავი საუკეთესო ჰგონია და ფიქრობს, რომ სწორედ ის წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილ მოდელს. ბერძნების თავისებურება სწორედ ის არის, რომ ისინი ყველას იდეალის გარკვეული ფორმის გაზიარებას სთავაზობენ. ეს სანიმუშო მოდელი ეფუძნება განათლებას, რომელიც ამავე დროს აფასებს ლიტერატურის თუ ხელოვნების ცოდნას და მთავარ ღირებულებებს (სიმამაცე, პატიოსნება, გულმართლობა და სხვ.), გადასცემს. უპირველესი კი ის არის, რომ ყოველივე ამის სწავლა შეიძლება. ეს არ არის დაბადების, სისხლის თუ ეროვნების საკითხი. 2500 წლის წინ სოკრატე გარკვევით ამბობდა: «ბერძნები უფრო უნა ვუწოდოთ იმათ, ვისაც აქვთ ჩვენი განათლება და არა მათ ვინც ჩვენი წარმომავლობისაა». ბერძნების წარმოდგენით და განცხადებით მათი განვითარება ცივილიზაციის უმაღლესი ფორმაა, მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია ამ მოდელის გაზიარება. საკუთარი უპირატესობის და უზენაესობის ეს განცდა და ამავე დროს იმის ხაზგასმა, რომ შესაძლებელია მათი გაზიარება, არის დასავლური ცივილიზაციის ხანგრძლივი და მტკიცე დამახასიათებელი ნიშანი. გაუნათლებელს შეუძლია განათლების მიღება და საკუთარი თავის გარდაქმნა. ლაპარაკია არა დახურული უპირატესობის გაცხადებაზე, არამედ სხვებისათვის გასაზიარებელი მოდელის შეთავაზებაზე. ყველასათვის ვარგისი მოდელის შეთავაზების ეს მანერა, რა თქმა უნდა, შეიძლება ჩაითვალოს უჩვეულოდ ქედმაღლობად და თავხედობად. ეს დებატი არ დამთავრებულა და ახლაც გრძელდება, ვინაიდან საბოლოო ანგარიშით ის ეხება დასავლური მიდგომის ერთ-ერთ მუდმივ ნიშანს.



ფოტოზე: ერნსტ ბარლახი, სულის მებრძოლი, 1927, კილის/გერმანია წმ. ნიკოლას ეკლესია

რაც შეეხება რომაელებს, მათ მხოლოდ ნაწილობრივ შექმნეს ძალზედ განსხვავებული; ზედმიწევნით გადაიღეს ბერძნული კულტურის იდეალები, ღირებულებები და განათლება, დასავლეთის ისტორია აგრეთვე გაამდიდრეს მნიშვნელოვანი სახასიათო ნიშნებით. რომაელები იყვნენ ინჟინრები, მათ პირველებმა შექმნეს დიდი საგზაო თუ საპორტო ინფრასტრუქტურები, ააგეს აკვედუკები, თერმები, ხიდები, საწყობები... მათ მსოფლიოს მართვა სურდათ. ამ სურვილში ინჟინერთა და ურბანისტთა ძალა იკვეთებოდა, რამაც ღრმა კვალი დაამჩნია დასავლურ სტილს. რომაელებმა ასევე გამოიგონეს მთელი იმპერიისთვის მისაღები იურიდიული წესები. პირველებმა გაიაზრეს და შექმნეს მმართველობის ახალი მოდელი. მათმა მოაზროვნეებმა «ორმაგი სამშობლოს» საინტერესო თეორია შეიმუშავეს, რის მიხედვითაც ყოველ მოქალაქეს შეიძლებოდა ჰქონოდა საკუთარი ქვეყანა, ენა, წეს-ჩვეულებები, რწმენა; ამავე დროს, დასაშვებად მიაჩნდათ მეორე სამშობლოს, რომის არსებობაც, ყველასათვის სავალდებულო კანონებითა და უფლებებით. ეს ვითარება აშკარად გვაგონებს ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე ცხოვრების წესს, რომლის მიხედვითაც ამერიკელობის ძალიან მძაფრი განცდა ჰარმონიულად თანაარსებობს სპეციფიურ ეთნიკურ ან კულტურულ წარმონაქმნებთან.

რომაელებმა ასევე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა შეიმუშავეს. ისინი კაცობრიობას არა ინდივიდთა ერთობლიობას, არამედ ადამიანთა ბუნებრივ სოლიდარობას უწოდებენ. ზღვაში, მთაში თუ უდაბნოში, გადასვლებად მიაჩნდათ მეორე სამშობლოს, რომის არსებობაც, ყველასათვის სავალდებულო კანონებითა და უფლებებით. ეს ვითარება აშკარად გვაგონებს ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე ცხოვრების წესს, რომლის მიხედვითაც ამერიკელობის ძალიან მძაფრი განცდა ჰარმონიულად თანაარსებობს სპეციფიურ ეთნიკურ ან კულტურულ წარმონაქმნებთან.

ჭირვებაში ჩავარდნილებისთვის დახმარების გაწევა, სპონტანურად მოქმედება იმის უკითხავად თუ ვინ არიან ისინი, იმსახურებენ თუ არა გადარჩენას - აი რას ნიშნავს ადამიანობა. აქ საუბარია უშუალოდ თანაარსებობაზე, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ჩვენს მსგავსებთან ჰარმონიული ურთიერთობების დამყარებამდე. ამგვარ მიდგომას ხელს უშლის ბუნებრივი მანკიერებანი, მაგალითად: სხვათა დაჯაბნის, გამოყენების და სხვა სურვილი. იმისათვის, რომ სოციალურმა წყობამ დაიცვას ეს ბუნებრივი ადამიანური დამოკიდებულება აუცილებელია იურიდიული, პოლიტიკური და პოლიციური წესების დადგენა. უეცრად რომაელებმა წარმოიდგინეს, რომ ყოველივე ამის მიღწევა მხოლოდ პიროვნების რომის იმპერიის მოქალაქედ გახდომითაა შესაძლებელი. ამ კონცეფციამაც ღრმა კვალი დაამჩნია დასავლეთს. სწორედ რომიდან მიიღო დასავლეთმა რწმენა იმისა, რომ ის არის მორალის, უნივერსალობის, საყოველთაობის მთავარი გარანტიდა დასავლეთის მისიაარის მსოფლიოში სამართალისა და ინდივიდთა პატივისცემის პრინციპების დამკვიდრება.

რომის იმპერიამ თავისი ძალაუფლება უსაზღვროდ განავრცო. მან ხმელთაშუაზღვისპირეთი, შუა აღმოსავლეთის ნაწილი მოიცვა. მისი გავლენა ჩრდილოეთსაც მისწვდა. სწორედ რომის იმპერიამ უანდერძა დასავლეთს მასა და სხვებს შორის საზღვრის არსებობის იდეა. იმპერიას, რა თქმა უნდა, შეუძლია გაფართოება, განვრცობა და ახალი მიწების მიერთება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუდამ რჩება დაუმორჩილებელი, «ველური», «ბარბაროსული» ტერიტორიები. ცივილიზებულ დასავლეთსა და «ველურ» ტერიტორიებს შორის არსებული საზღვარი მობილურია. ის სულ უფრო და უფრო შორდება ცენტრს, მაგრამ მისი გაუქმება და მოსპობა შეუძლებელია.

ანტიკური ხანის მემკვიდრეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის შეცვლილი და შეძრულიც იყო ებრაული და ქრისტიანული მემკვიდრეობით. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ჩასახული და განვითარებული იუდაიზმი ლოგიკურად დასავლეთს არ უკავშირდება. თუმცა, მაშინდელ ევროპულ მორალსა და სულიერებას ებრაული რელიგია ასაზრდოებდა და ხშირ შემთხვევაში მასზე მნიშვნელოვან გავლენასაც ახდენდა. ქრისტიანობაშიც კი არის ძველი აღთქმიდან, მოსეს კანონიდან და იუდაიზმის ეთიკური წესებიდან მომდინარე ფუნდამენტური ღირებულებები.

ახლა კი გავარკვიოთ რა მიიღო დასავლეთმა იუდაიზმისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი და უნივერსალური მორალური წესები. უშუალოდ იუდაიზმიდან მომდინარეობს მკვლელობის, ქურდობის, ცოლ-ქმრული ღალატის აკრძალვები, ადამიანის სიცოცხლის, პიროვნების, ღირსების დაცვა, მშობლების გამორჩეულად პატივისცემა. დასავლური მორალის შემადგენელი ეს ელემენტები უშუალოდ ებრაული ბიბლიიდან იღებს სათავეს. მათი გადაცემა არ ყოფილა უშუალო და პირდაპირი, ვინაიდან იუდაიზმის პრინციპები ევროპამ ქრისტიანობის მეშვეობით მიიღო და გადაამუშავა. ქრისტიანობის როლი და მნიშვნელობა უდაოდ გადამწყვეტი ფაქტორია. მთელი შუა საუკუნეებისა და შემდგომი დროის განმავლობაში დასავლეთის მოსახლეობა ქრისტიანი იყო. მახლობელ და შუა აღმოსავლეთში მაჰმადიანები ჭარბობდნენ. შორეულ აღმოსავლეთში კი ბუდისტები და ინდუისტები ცხოვრობდნენ. დასავლეთთან ერთად წინ მიიწევდა ქრისტიანობაც. ერთ დროს «დასავლელი» და «ქრისტიანი» სინონიმები იყო. მაგრამ მხოლოდ ერთ ხანს. ა.წ. I თუ II საუკუნემდე ვერ ვილაპარაკებთ ქრისტიანულ დასავლეთზე. ყველაზე მოშორებულ სოფლებში ქრისტიანობა მხოლოდ V თუ VI საუკუნეებში გავრცელდა. ზოგი ძნელად მისაწვდომი ქვეყანა, მაგალითად ირლანდია ან სკანდინავია დიდი ხნის მანძილზე არ გაქრისტიანებულა. ქრისტიანულ დასავლეთზე საუბრის დანამდვილებით დაწყება მხოლოდ 1000 წლისთვის შეგვიძლია. აღნიშნული პერიოდი მხოლოდ რამოდენიმე საუკუნე გაგრძელდა. ეს სულ უფრო და უფრო პრობლემატური გახდა აღორძინების ხანიდან, როდესაც ანარქისტ ლიბერალთა, თავისუფლად მოაზრივნეთა და ფილოსოფოსთა მხრიდან ქრისტიანობის კრიტიკა გააქტიურდა. XVIII საუკუნიდან ქრისტიანობას დაუპირისპირდნენ განმანათლებლები, გავრცელდა ათეიზმი. ქრისტიანობამ ღრმა კვალი დაამჩნია დასავლეთს. ამ რელიგიას უამრავი სხვა რამ დაუპირისპირეს.

XIX საუკუნიდან დასავლეთში რელიგიის კრიტიკა განვითარდა. გავრცელდა ათეიზმი, ანტიკლერიკალიზმი, რელიგიურ დოგმათა უარყოფა, ყველაზე მეტად, დასავლეთის მნიშვნელოვანმა ნაწილმა უარყო პოლიტიკური ხელისუფლების, საზოგადოებივი წყობის ოფიციალურ ღირებულებათა ერთობლიობის არსებობა, რომელიმე ფორმის თუ ნებისმიერი დოგმატი-

სადმი დამორჩილება. და ბოლოს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცნება «ქრისტიანი» მეტისმეტად ფართოა, ვინაიდან თვითონ ქრისტიანობაში არსებობს განხეთქილებები და უთანხმოებები. ერთიანი ქრისტიანი ევროპა არ არსებობს. არსებობენ ერთმანეთისგან განსხვავებული და ზოგჯერ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ქრისტიანული მიმართულებები. აქ არ ვისაუბრებთ პირველი საუკუნეებისთვის დამახასიათებელ მრავალ ერესზე, რომლებიც ხშირად ამ რელიგიის მნიშვნელოვან მიმდინარეობებს წარმოადგენდნენ. შემდგომში ქრისტიანობა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ მიმდინარეობად გაიყო. ახალი განხეთქილებები წარმოშვეს რელიგიურმა ომებმა, პროტესტანტების გამარჯვებამ ჩრდილოეთ ევროპაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, სკანდინავიაში და დიდ ბრიტანეთში. მართლმადიდებლობის, კათოლიკობის და პროტესტანტობის არსებობა არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქრისტიანული ევროპა ნამდვილად ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ერთადერთი პერიოდი, როდესაც ჩვენ შეგვიძლია უყოყმანოდ საუბარი «ქრისტიანულ დასავლეთზე», ბოლოს და ბოლოს შუა საუკუნეებია. იმ დროს ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ევროპა ოდესმე განვითარებას და მსოფლიოზე გაბატონებას შესძლებდა.

დასავლეთი შუა საუკუნეებში განუვითარებელი, განვითარებადი იყო. მაშინ არ საუბრობდნენ ამის შესახებ. ეს ჩვენი აზროვნების თანამედროვე მანერაა. უეჭველია, დასავლეთს განცდილი აქვს უკანდახევის, რეგრესის, დაცემის და დეზორგანიზაციის მრავალი საუკუნე. აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მოსული მრავალი ხალხი თანდათანობით ძველი რომის იმპერიის ტერიტორიებზე, უმთავრესად გალიაში (დღევანდელი საფრანგეთი), იტალიაში, ესპანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში დამკვიდრდა. ერთმანეთს მოჰყვნენ გოთები, ვიზიგოთები, ალანები, ვანდალები, ბურგუნდები და სხვები, რომელთაც საბოლოოდ საკუთარი სამეფოები შექმნეს. რითაც დასავლეთის მშენებლობაში საკუთარი წვლილი შეიტანეს. ჩვენ მათგან გერმანული და «ჩრდილოური» წეს-ჩვეულებები და კანონები მივიღეთ. მეტიც, ამ «ბარბაროსებმა« ევროპას უფრო მნიშვნელოვანი რწმენა უანდერძეს: ძველი სამყაროს ნანგრევებზე შეიძლება აიგოს ახალი სამყარო; მაშინაც კი, როდესაც ერთი შეხედვით ის აღარ არსებობს, სხვა ცივილიზაცია იჩენს თვს. ამ გაკვეთილზე დასავლეთი შემდგომში განუწყვეტლად იფიქრებს. პირველ რიგში თვალში საცემია ნგრევა. ევროპა მრავალი საუკუნის მანძილზე რომაული სამყაროს განადგურებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს განიცდიდა. მოსახლეობა დეზორგანიზებული იყო, გაბატონდა შიში და დაუცველობა, შემცირდა ვაჭრობა, გაქრა მცირედ დასახლებული ქალაქები. მშიერი, მოძალადე დასავლეთ ევროპა უფრო უმეცარია 1000 წელს, ვიდრე 1 წელს. ცხადია, რომ 1000 წელსაც არაფერი განსაკუთრებული მომხდარა, მაგრამ ეს სიმბოლური თარიღია. წარმოვიდგინოთ უცხოპლანეტელი, რომელიც დედამიწას აკვირდება და სხვადასხვა ქვეყნებს სწავლობს. ის აუცილებლად აღმოაჩენს, რომ ჩინეთში არის მეცნიერებათა, ტექნიკათა და დიდად დახვეწილ ხელოვნებათა მქონე ცივილიზაცია. ინდოეთშიც შეამჩნევს დიდ ცოდნას, უნივერსიტეტებს და განვითარებულ ფილოსოფიას. არაბულ ქვეყნებში ის დაინახავს მედიცინის, მათემატიკის, მეტაფიზიკის, ბერძნებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ყოველგვარი ცოდნის განვითარებას. 1000 წელს, დედამიწის მჭვრეტელი უცხოპლანეტელი უდაოდ შეამჩნევს აცტეკებისა და ინკების დიდად განვითარებულ ცივილიზაციებს, დიდი აფრიკული სამეფოების ძალას, ავსტრალიის აბორიგენების, წყნარი ოკეანის და ამერიკის ხალხების სიბრძნეს. ევროპის მიერ შექმნილ გეოგრაფიულ დასავლეთში კი აღმოაჩენს ღარიბ, დამშეულ და ავადმყოფ ხალხებს, უცოდინრობას, სიღატაკესა და ცრურწმენებს. ეს ცნობისმოყვარე უცხოპლანეტელი დამკვირვებელი უთუოდ აღიარებდა, რომ ცივილიზაცია ინდოეთში, ჩინეთში, არაბულ სამყაროში ჩაისახა და არა დასავლეთ ევროპაში.

1000-2000 წლებს შორის დასავლეთმა საკუთარი კონტროლი დააწესა მსოფლიო ისტორიაზე. მეცნიერება, ტექნიკა, ფინანსები, ინფორმაციათა ნაკადები უმთავრესად დასავლური გახდა. სხვა ცივილიზაციებმა თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლეს. ზოგი მათგანი, მაგალითად ინკები და აცტეკები დასავლეთმა მოსპო, აფრიკული სამეფოები თუ ინდოეთის სამთავროები ევროპამ დაიპყრო, მათი სრული კოლონიზაცია მოახდინა და გარდაქმნა. უმარავი კითხვა იბადება. მაშ რა მოხდა? ასპარეზზე სავსებით ახალი ელემენტები გამოჩნდა? იქნებ ბერძნული და რომაული საზოგადოებების მიერ უკვე ჩაყრილი და მიძინებული საფუძვლების განვითარება მოხდა? რა თქმა უნდა, ორივეს ერთად აქვს ადგილი. დასავლეთის ექსპანსიას ბერძნული და რომაული აზრის სქემების გააქტიურებამ შეუწყო ხელი, რასაც სავსებით ახალი ფაქტორები დაემატა. გარდა ამისა, ეკონომიკურ, ტექნიკურ და სამხედრო განვითარებას სხვადასხვა ფაქტორების გაერთიანებამ მისცა ბიძგი.

ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყო ზღვა-ოსნობის ინტენსიურობამ. პირველი ცენტრი ვენეცია იყო, მას როტერდამმა და ამსტერდამმა აჯობეს. ეს ქალაქები კომერციულ და ფინანსურ ცენტრებად იქცნენ. გაუმჯობესდა საბანკო საქმე, ყგამოიგონეს თამასუქი, ამას დაემატა მეცნიერების, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის და ხელოსნობის განვითარება. გადამწყვეტი ტეხილი ფიზიკური სამყაროს მიმართ მათემატიკის გამოყენება გახდა. დიდი ხნის აღმოჩენილი იყო ისეთი იარაღი, როგორიცაა განტოლეხა, რაც თანაზომიერად აჩქარებულ მოძრაობას გამოსახავდა, თუმცა მას რეალურ სამყაროს ჯერ არ უქვემდებარებდნენ. ერთის მხრივ თეორიული ობიექტების აღმწერი განტოლებები არსებობდა, თუმცა მათი რეალური არსებობაც კი ვერ წარმოედგინა ვერავის.

მეორეს მხრივ, იცნობდნენ ფიზიკურ რეალობებს, მაგალითად ზარბაზნის ყუმბარას ან ისარს, მაგრამ არ სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო მათი ტრაექტორიის მათემატიკურად დაანგარიშება. ამ შეცდომაზე პასუხისმგებელი თავად არისტოტელე გახლდათ. სწორედ მან წარმოიდგინა ერთმანეთისგან განსხვავებული ორი სამყარო. თუ ვარსკვლავების სისტემაში სრულყოფილი და რეგულარული მოძრაობის გამოანგარიშება უკვე შესაძლებელი გახლდათ და ასტრონომიას შესაბამისი პროგნოზის გაკეთება შეეძლო, ჩვენი, მიწიერი სამყაროს ფენომენები ისევ შემთხვევით მოვლენებად ითვლებოდა. ზარბაზნის ერთი და იგივე წონის ორი ბირთვის სროლისას, ერთი შეიძლებოდა ცოტა უფრო შორს დაცემულიყო, მეორე კი უფრო ახლოს. ეს ფაქტი არავის აოცებდა, შეუძლებლად მიიჩნევდნენ მათი დაცემის ადგილის და სიჩქარის ზუსტად დაანგარიშებას. ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა მაშინ, როდესაც მიხვდნენ, რომ მათემატიკური იარაღი ანგარიშს უწევდა ფიზიკურ ფენომენს, ხოლო გეომეტრიისა და სამყაროს სივრცე ერთმანეთს ემთხვეოდა. შემდეგში დაიანგარიშებენ როგორც ზარბაზნის ყუმბარის ტრაექტორიებს, ისე ხრახნების ძალას, აფრების ზედაპირს და მანქანების ამწევ უნარს. მუშაობას შეუდგებიან ინჟინრები, ისინი უსასრულოდ განავითარებენ ბუნებაში ჩარევის საშუალებებს.

მაგრამ მარტო ტექნიკა ვერ ახსნის ყველაფერ გარემომცველს. ის ერთმანეთის გამაძლიერებელი ელემენტებისგან შემდგარი მთლიანობის ერთი ნაწილია. მისმა განვითარებამ ცოდნის განვითარება გააძლიერა და პირიქით, ცოდნის განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ტექნიკის სრულყოფას. კრიტიკის და ანალიზის განვითარებამ გააღრმავა ცოდნა და პირიქით, მეცნიერულმა პროგრესმა უფრო ინტენსიური გახადა ტრადიციების, რწმენათა, ზნე-ჩვეულებათა რაციონალური კვლევა. ფილოსოფიური კრიტიკა ხელს უწყობს თავისუფლებათა განვითარებას და ეს თავისუფლებანი უფრო ააქტიურებენ ფილოსოფიას. აი ამგვარად ამუშავდა დასავლეთის ექსპანსიის მანქანა; ყოველი ელემენტი აძლიერებს დანარჩენს, რითაც განუწყვეტლად ძლიერდება მთლიანობა. ეს ძლიერება ეფუძნება კითხვას და ცვლილებას.

დასავლეთის ზრდას მსჭვალავს და ხელს უწყობს მუდმივი დებატი ჭეშმარიტების რაობაზე; როგორი უნდა იყოს ხელისუფლებათა ორგანიზაცია, რა ადგილი უნდა გააჩნდეთ ინდივიდებს საზოგადაოებაში, რა ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ ქვეშევრდომებს მათ მონარქთან, რა ურთიერთობა უნდა არსებობდეს ღმერთსა და ადამიანებს შორის, რელიგიასა და ხელისუფლებას შორის. შუა საუკუნეების დასასრულიდან დღემდე დასავლეთი იყო არაჩვეულებრივი დისკუსიებისადაზრთაგაცვლა-გამოცვლის მოწმე. რამაც შესაძლებელი გახადა მეცნიერული კვლევის განთავისუფლება თეოლოგების ავტორიტეტისა და ეკლესიის ძალაუფლებისაგან. მეცნიერული ცოდნის რელიგიური გამოცხადებისაგან და იმავდროულად პოლიტიკური ხელისუფლების რელიგიური ავტორიტეტისაგან თანდათანობითი გამოყოფით დასავლეთი სრულებით განსაკუთრებული ისტორიული სიახლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან ბოლოს და ბოლოს გამოიგონა ინდივიდების რელიგიური ავტორიტეტისაგან თუ პოლიტიკური ჩაგვრის ნებისმიერი ფორმისაგან სრული განთავისუფლების იდეა. ინდივიდების ეს სუვერენიტეტი პირველად საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1789 წელს განცხადებულ ადამიანის და მოქალაქის უფლებათა საყოველთაო, უნივერსალური დეკლარაციის გამოცხადებასთან ერთად გაცხადდა.

ფოტოზე: სოფია, XII-XIII საუკუნის ლაონის/საფრანგეთი კათედრალის ვიტრაჟი

ამ რევოლუციას გადამწყვეტი როლი გააჩნია საფრანგეთისა და ევროპის ისტორიისთვის. იგი მთელი მსოფლიოსთვის მთავარი ისტორიული მოვლენაა დასავლეთის წარმოსადგენად, რასაც მრავალი მიზეზი ხსნის. სწორედ მან განაცხადა, რომ ადამიანთა საზოგადოებებს აქვთ თვითმმართველობის, საკუთარი კანონების, კონსტიტუციების მიღების, ღვთაებრივი წარმომავლობად მიჩნეული კანონების და წარსულისადმი სავალდებულო მორჩილების უარყოფის უფლება. ეს ავტონომია ხელახლა აღმოაჩენს და განაახლებს ანტიკურ ხანაში, ათენში, ბერძნული დემოკრატიის გაჩენასთან ერთად გაჩენილ მოძრაობას. თუმცა შედეგი განსხვავებულია, მას ბევრად უფრო ძლიერი ექო გააჩნია. 1789 წლის რევოლუცია, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა საყოველთაოობას, უნივერსალობასაცხადებს. უბრალოდ, ამქვეყნად გაჩენის გამო ადამიანს აქვს უფლებები, რომლებსაც ის ვერავის ვერ დაუთმობს და რომლებსაც მას ვერავინ წაართმევს. ეს ფუნდამენტური უფლებები ურღვევად არის დაკავშირებული ადამიანის არსებობასთან. აღნიშნული თვალსაზრისით, როდესაც ვამტკიცებთ, რომ მსოფლიოს ამა თუ იმ ადგილას, ამა თუ იმ ცივილიზაციაში, ამა თუ იმ რეჟიმის პირობებში ეს უფლებები «არ არსებობს», ჩვენ ვცდებით. უნდა ითქვას, რომ ეს უფლებები არსებობს, მაგრამ არაა აღიარებული, მათ პატივს არ სცემენ. მაგალითად, ქალთა უფლებები მრავალ ქვეყანაში აღიარებული არაა. ამ ვითარების საწინააღმდეგოდ ჩვენ როგორც ასეთი, გააჩნით. და ბოლოს, ეს უფლებები აქვს პიროვნებას, ინდივიდს და არა რომელიმე ჯგუფს, კლასს თუ კასტას. სწორედ ამ გაგებით საფრანგეთის რევოლუციამ ინდივიდის უფლებათა პირველი ტრიუმფი აღნიშნა.

თანამედროვე დასავლეთის სწორედ ეს დამახასიათებელი ნიშანი ყველაზე მეტ კითხვას და დაძაბულობას აჩენს მასა და ინდივიდზე მეტად კოლექტივზე კონცენტრირებულ სხვა კულტურებს შორის. ამჯერად ყველაფერი მზადაა დასავლეთის ექსპანსიისთვის. რომელიც შემდგომი ორი საუკუნის მანძილზე ელვისებრი იქნება ყველა ფრონტზე - ეკონომიკურზე, მეცნიერულზე, ტექნიკურზე, სამხედროზე და პოლიტიკურზე. მაშინდელი დასავლეთის შემადგენელმა ევროპის და ამერიკის რამოდენიმე ქვეყანამ, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე შემტევი და არაჩვეულებრივად ეფექტური ძალა შექმნა. XIX-XX საუკუნის ისტორია ემთხვევა დასავლეთის ძალის მსოფლიო ექსპანსიის ისტორიას. ამ ექსპანსიის იარაღი კოლონიზაცია, სხვა ცივილიზაციების დაპყრობა-დამორჩილება, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია გახლდათ. დასავლეთის მიერ კოლონიზებულმა

ფოტოზე: რაფაელი, ათენის სკოლა, დეტალი: პლატონი, 1510-1511

ქვეყნებმა, საკუთარი დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებების გამოთქმის, თავისუფლების და ავტონომიის დასავლურ კონცეფციათა გამოყენებით დაიბრუნეს. ამგვარად დასავლეთის მიერ გამოჭედილი ინტელექტუალური იარაღი მისივე ბატონობის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. არა მგონია, რომ ეს ისტორია დამთავრებული იყოს. ის ისევ განიცდის ევოლუციას. ამის გასაგებად კიდევ ბევრი რამ არის ასახსნელი, ვინაიდან ჩვენ არ განგვიხილავს დასავლეთის ყველა სახე, თუმცა მისი მრავალი უკვე ვიხილეთ, მაგრამ არა ყველაზე უარესი. დიდებათა და მიღწევათა გვერდით არის სასაკლაოებიც, ნანგრევებიც, ნათელი სახის გვერდით არსებობს ბნელიც, ვისაუბროთ მასზე.

/ბაბიძეება შემდეგ ნომეიში/

აი იპ. - ს
შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის 10 მაისს
info@ai-ia.info
www.ai-ia.info



ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი

სასწავლო პროგრამა მოიცავს 12 წლიან ციკლს. (აქვე ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება - 4-5 წლიანთათვის). სწავლების მესამე საფეხურიდან (მე-11, მე-12 კლასები) გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ჰუმანიტარული, იურიდიულ-ეკონომიკური მიმართულებით. ლიცეუმის ყველა კურსდამთავრებული წარმატებით აბარებს ეროვნულ გამოცდებს.

ლიცეუმში, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ლიცეანტები გაძლიერებულად ეუფლებიან: უცხო ენებს (ინგლისური, გერმანული, რუსული, ბერძნული (შესაძლოა - იაპონური, ფრანგული)); რელიგიის ისტორიას; კატეხიზმოს; გალობას; ხუცურს; ეკლესიის ისტორიას; ოქრომკედს; ქართულ ცეკვას, ხრიდოლს; ჭადრაკს; მუშაობს მუსიკალური სტუდია.

მისამართი: პეკინის №44 (III სართული), თბილისი

ტელეფონი: 51-40-37 (სკოლა-ლიცეუმი)

მობილური:
899/42-30-11; 36-12-58
877/41-44-55; 62-43-55
899/63-22-02; 64-75-91

გაზეთი **აი ია.**
შპს „აი ია.“

პირადი ნომერი: 404890999
ი. ჭავჭავაძის გამზირი 26/13
0179 თბილისი

რედაქცია
ხატია ღუდუშაური

ზურაბ ხუციშვილი
ტელეფონი: 23 80 11
მობილური: 858 24 04 38
ელფოსტა: info@ai-ia.info

ტექნიკური დირექცია:
GETMANPICTURES

Copyright: აი ია.

www.ai-ia.info

ესეც ევროპაა: კლოდ ლევი-სტროსი იაპონიის შესახებ



ფოტო ზე: კლოდ ლევი-სტროსი

კლოდ ლევი-სტროსი (1908-2009) სახელგანთქმული ფრანგი ეთნოგრაფი, ეთნოლოგი, ანტროპოლოგი, სოციოლოგი, კულტუროლოგი და ეთნოლოგიაში სტრუქტურალიზმის სკოლის შემქმნელია. აი რას წერდა იგი იაპონიის შესახებ: «ევროპელებისა და ამერიკელების დღევანდელი აღფრთოვანება იაპონიით გამოიწვია იმან, რომ ის მტკიცედ შევიდა თანამედროვეობაში ისე, რომ დღემდე ამის გაკეთება ინდივიდუალობის, მისი თავისებურებების დაკარგვის გარეშე შესძლო... მე ხაზს ვუსვამ ტრადიციული ცოდნის და ხელობათა გადარჩენის, დაცვის აუცილებლობას და საჩქაროობას...».

მისი ეს სიტყვები ადასტურებს, რომ თანამედროვე ღრმად მოაზროვნე ევროპელებს ესოდენ მღელვარე აწმყოში ეროვნული მეობის დაცვის აუცილებლობა და გადაუდებლობა შესანიშნავად ესმით. იგივე ამოცანა კაცობრიობის წინაშე მუდამ იდგა. მაგალითად აღმოსავლეთიდან მოსულ და ევროპის ცივილიზატორ ეტრუსკთა ტრაგიკულ ბედს დავიმოწმებთ. ეს იდუმალი ხალხი, რომელმაც ბერძნებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ევროპულ ცივილიზაციას (მელითონეობას, სოფლის მეურნეობას, ურბანიზმს, ხელოვნებათა სხვადასხვა დარგს, რომელმაც დაარსა ქალაქი რომი, რომის რესპუბლიკა და შემდეგ იმპერია), მოულოდნელად გაქრა. ის არ მოუსპიათ, ფიზიკურად არ გაუწყვეტიათ ევროპაში მოგვიანებით გაბატონებულ ინდოევროპელებს. ზოგი გადმოცემით, აღორძინების ხანაში, იტალიელი მედიჩები მათი ეტრუსკული წარმომავლობით ამაყობდნენ, თუმცა ეს უკანასკნელნი უკვე პირისაგან მიწისა აღგვილნი იყვნენ. რა მოხდა? სად წავიდა ეს ნიჭით და ენერგიით გამორჩეული ხალხი? თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ, რომ მოგვიანებით გაბატონებულმა ინდოევროპელმა რომაელებმა ეტრუსკები დაამარცხეს ცივ, ფსიქოლოგიურ ომში. მათ ისინი დაარწმუნეს იმაში, რომ ეტრუსკული კულტურა არქაული, ჩამორჩენილი, თანამედროვეობისთვის შეუფერებელი და თანამედროვე სამყაროს გამოწვევებზე პასუხის ვერ გამცემი იყო, რომ პროგრესის მოტანა მხოლოდ ლათინურ რომაულ კულტურას შეეძლო. ეტრუსკმა წარჩინებულებმა დაივიწყეს საკუთარი წინაპრების ღვაწლი, დაკარგეს საკუთარი მეობა და გარომაელდნენ კულტურულად, ფსიქოლოგიურად და ყოფით. მათ მიჰბაძა ხალხმა. ამის და მსგავსი მაგალითების მცოდნე ღრმად მოაზროვნე თანამედროვე ევროპელები ანალოგიური უბედურებისგან თავის დაზღვევას აქტიურად ცდილობენ.

დღეს ზუსტად იგივე საშიშროება ემუქრება ქართველებსაც, რომელთაც ორი საუკუნის განმავლობაში, მათი ეროვნული კულტურის უსარგებლობა-არქაულობაში არწმუნებდნენ ჯერ რომანოვები და ბოლშევიკები, რომლებიც ქართველი და არა მარტო ქართველი ერების გარუსება-ბოლშევიზაციის პოლიტიკას ატარებდნენ, დღეს კი არსით იგივეს მოქმედი ზოგიერთი თანამედროვე ფსევდოლიბერალი თუ სხვა პოლიტიკური მოძრაობების წარმომადგენელი. ისინი დაუცხრომლად ქადაგებენ, რომ არქაული და მოძველებული ქართული ეროვნული კულტურა და ათასწლოვანი ისტორიული გამოცდილება მთლიანად უნდა გადაფაროს, შთანთქას, აქა-იქ მხოლოდ მუზეუმებისთვის დასტოვოს თანამედროვედ და მოწინავედ მიჩნეულმა კულტურამ. საუკეთესო შემთხვევაში ესაა ქართველი ერისთვის ეტრუსკთა სამწუხარო ხვედრის მომზადება.

«... ჩვენ კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა
მის მიერითა...»

ფრაგმენტი წიგნისა: კლოდ ლევი-სტროსი, ანტროპოლოგი თანამედროვე სამყაროს პრობლემების პირისპირ, პარიზი, 2011, თარგმანი ფრანგულიდან.

«...ევროპელების და ამერიკელების დღევანდელი აღფრთოვანება იაპონიით, არაა გამოწვეული მხოლოდ მისი ტექნიკური პროგრესით და ეკონომიკური წარმატებებით. ის მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმ ბუნდოვანი გრძნობით, რომ ყველა თანამედროვე ერიდან ამ (თქვენს) ერს ორ დაბრკოლებას შორის საუკეთესოდ მოძრაობა შეუძლია. მხოლოდ მათ ძალუძთ სიცოცხლის და აზრის ფორმულების შემუშავება, რომელთაც XX საუკუნის კაცობრიობის გამტანჯველ წინააღმდეგობათა დაძლევა ძალუძთ.

იაპონია გაბედულად და მტკიცედ შევიდა თანამედროვე ცივილიზაციაში, რომ დღემდე ამის გაკეთება ინდივიდუალობის, მისი თავისებურებების დაკარგვის გარეშე შესძლო. მეიჯის რესტავრაციის ხანაში, როდესაც იაპონიამ გადაწყვიტა გახსნილიყო, ის დარწმუნებული გახლდათ, რომ დასავლეთს ტექნიკურ პლანში უნდა დასწეოდა თუ კი მას თავისი საკუთარი ღირებულებების გადარჩენა სურდა. ...იგი უცხოურ მოდელს ხელფეხშეკრული არ ჩაბარებია ტყვედ. თავისი სულიერი ცენტრიდან დროებით გადგა განზე მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი გარემოს უკეთესად დაცვით, უკეთესად დაეცვა თავისი სულიერი ცენტრი.

იაპონიამ საუკუნეთა მანძილზე წონასწორობა შეინარჩუნა ორ მიდგომას შორის. ის ხან გახსნილი იყო გარეშე გავლენებისადმი და მზად გახლდათ მათ მისაღებად და ხან ჩაკეტილი თითქოს იმისათვის, რომ ჰქონდა უცხოური წვლილის და იმპულსის ასიმილაციისა და და მათზე თავისი ნიშნის დასმის დრო. ორნაირ ქცევას შორის, მოძრაობის, როგორც ეროვნული ღმერთებისადმი ერთგულების, ისევე როგორც «მოწვეული ღვთაებებისათვის ანგარიშის გაწევის» ეს გასაოცარი იაპონური თვისება, ეს იდეები, (თქვენთვის) უეჭველად ცნობილია. მე არა მაქვს თქვენთვის რაიმეს სწავლების პრეტენზია. უბრალოდ მსურს რამოდენიმე მაგალითით უფრო ხილული გავხადო, რით ხიბლავენ დასავლელ დამკვირვებელს თქვენი ეს თავისებურებები.

...მე ხაზს ვუსვამდი ტრადიციული ცოდნისა და ხელობათა გადარჩენის, დაცვის აუცილებლობას და საჩქაროობას. თქვენ მონახეთ ამ პრობლემის გადაწყვეტის ხერხი და «ცოცხალ ეროვნულ საგანძურად» (ნინგენ კოკუჰო) წოდებული სისტემა შექმნით. არ გავთქვამ სახელმწიფო საიდუმლოს იმის თქმით, რომ ჩემი ქვეყნის ხელისუფლება ახლა, საფრანგეთში თქვენი სისტემის მიერ უშუალოდ შთაგონებული სისტემის შემოღების საკითხს ამზადებს. თქვენი ისტორიის მეორე ასპექტი განსაკუთრებით ბევრისმთქმელია ფრანგებისთვის. ესაა ინდუსტრიულ ხანაში შესვლის ორი ერთმანეთისგან განსხვავებული, მეტიც, მე ვიტყოდი ერთმანეთთან დაპირისპირებული ხერხი. საფრანგეთში რევოლუცია მცირე საკუთრების მოსურნე გლეხობასთან დაკავშირებულმა ადვოკატების და ბიუროკრატების ბურჟუაზიამ მოახდინა. ამ რევოლუციამ, ამავე დროს, მოძველებული პრივილეგიები გააუქმა და ახალშობილი კაპიტალიზმი მოგუდა.

იაპონიამ კი მოახდინა რესტავრაცია, რომლის მიზანი ეროვნულ თემში ხალხის ჩართვა იყო. მას არ მოუსპია თავისი წარსული, მან გამოიყენა ის და ასე შესძლო ადამიანური რესურსების ჩაყენება ახალი წყობის სამსახურში იმიტომ, რომ კრიტიკულ სულს არ აუოხრებია ქვეყანა და ძველი სიმბოლური წარმოდგენების მთელი საკმაოდ სოლიდურმა აპარატმა იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნა იმპერიულ ხელისუფლებას და შემდეგ ინდუსტრიულ საზოგადოებას...

საერთო ჯამში, დასავლელთა მიერ დანახული იაპონია ადასტურებს, რომ კაცობრიობის შემადგენელი ყოველი კულტურა თუ კულტურათა ერთობლიობა რომ გადარჩეს და განვითარდეს, აუცილებელია გახსნისა და დახურვის ორმაგი რიტმის შესაბამისად არსებობა. ორიგინალობის, თავისებურების შესანარჩუნებლად და ურთიერთგამდიდრების საშუალების მომცემი დისტანციის შესანარჩუნებლად, ყოველი კულტურა საკუთარი თავის ერთგული უნდა იყოს; ამის საფასური ერთგვარი სიყრუვეა მათი ღირებულებებისაგან განსხვავებული ღირებულებების მიმართ, მთლიანი თუ ნაწილობრივი უგრძნობლობა მათთან მიმართებაში.»

გიორგი მარჯანიშვილი